საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

დავით აღმაშენებლის გამზირი **N80**
0102 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

26 დეკ 2024 წ.

KA000056608840324

№ **2024/7699**

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ ანრი ოხანაშვილს

წინადადება

პატიმართა ტრანსპორტირებისას ხელბორკილების გამოყენების წესის განსაზღვრის თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ანრი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა რამდენიმე პატიმრის განცხადება, სადაც ისინი მიუთითებენ ბადრაგირების პროცესში, სატრანსპორტო საშუალებაში ხელბორკილის გამოყენების თაობაზე. საგულისხმოა, რომ მსგავსი პრაქტიკის შესახებ პატიმრები ბოლო პერიოდში საუბრობენ და გასული წლების განმავლობაში, მსგავს პრობლემაზე სახალხო დამცველის აპარატს პატიმრები არ მომართავდნენ.

ფაქტობრვი გარემოებები:

ინდივიდუალური საქმეები

- [redacted]

მსჯავრდებულის განმარტებით, 2023 წლის [redacted] მისი ბადრაგირება N[redacted] პენიტენციური დაწესებულებიდან [redacted] სასამართლოში და უკან, დაწესებულებაში დაბრუნება განხორციელდა განსხვავებულად, რაც მანამდე არასდროს მომხდარა. კერძოდ, ბადრაგირების მანქანაში გისოსით შემოსაზღვრულ სივრცეში ყოფნისას, ორივე ხელზე გაუკეთდა ხელბორკილი. პატიმარი აპელირებდა აღნიშნული სპეციალური საშუალების გამოყენების უსაფუძვლობასა და არაპროპორციულობაზე; ასევე, ყურადღებას ამახვილებდა ავტომანქანის სიჩქარით გადაადგილებისას ხელბორკილების გამო დაზიანების შესაძლო საფრთხეზე (შეუძლებელი იქნებოდა გისოსზე შეჯახებისგან თავის შეკავება). მსჯავრდებულის თქმით, ხელბორკილის გამოყენების თაობაზე რაიმე დოკუმენტი არ წარუდგენიათ, თუმცა ზეპირად განუმარტეს, რომ [redacted] შემდეგ, ყველა პატიმრის ბადრაგირება ხდებოდა მუდმივად ხელბორკილის გამოყენებით და არსებობდა ხელმძღვანელობის ზეპირი მითითებაც.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის პოზიციით, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ [redacted] მიმართ, 2023 წლის [redacted] სასამართლოში ესკორტირებისას, ავტომანქანაში ყოფნისას გამოყენებული იქნა სპეციალური საშუალება -

ხელბორკილი. აღნიშნულის შესახებ, ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მიერ არ შედგენილა ოქმი ან/და სხვა დოკუმენტი.[2]

2023 წლის [redacted] პატიმრის ბადრაგირების განმახორციელებელმა თანამშრომლებმა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტს[3] განუმარტეს, რომ [redacted] მიმართ გამოიყენეს სპეციალური საშუალება - ხელბორკილი და ბადრაგირებისას სპეციალური ავტომანქანის დაცულ სივრცეში ხელბორკილი მისთვის არ მოუხსნიათ. მათთვის ცნობილი იყო პატიმრის წარსულში ნასამართლობისას თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გაქცევის შესახებ და უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, კონკრეტულმა თანამშრომლებმა, პირადად მიიღეს გადაწყვეტილება ბადრაგირებისას ხელბორკილის გამოყენების შესახებ. ესკორტირების უწყისებში აღნიშნულია ბადრაგის დაწესებულებაში გამოცხადების, სასამართლოში მისვლისა და პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრის დაბრუნების დრო, თუმცა, არ წერია გამოყენებული სპეციალური საშუალების - ხელბორკილის შესახებ (ამგვარი გრაფა დოკუმენტის ფორმაში არ არსებობს).

- [redacted]

მსჯავრდებულ [redacted] განმარტებით, 2024 წლის [redacted] გაყვანილი იყო [redacted] კლინიკაში, რა დროსაც მგზავრობის დროს ხელბორკილი არ მოხსნეს. ხსენებულ საკითხზე რაიმე დოკუმენტი არ შეუდგენიათ. პატიმრის თქმით, განუცხადეს, რომ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებით, უსაფრთხოების მიზნით, აუცილებელია მგზავრობის დროსაც ეკეთოს ხელბორკილი.

მსჯავრდებულ [redacted] N[redacted] პენიტენციური დაწესებულებიდან [redacted] სამედიცინო ცენტრში“ [redacted] გადაყვანისას, სპეციალური საშუალება - ხელბორკილი - ეკეთა N[redacted] პენიტენციური დაწესებულებიდან, [redacted] სამედიცინო ცენტრში“ სამედიცინო მომსახურების ჩატარებამდე და აღნიშნული სამედიცინო მომსახურების დასრულებიდან პენიტენციურ დაწესებულებაში შესახლებამდე. სპეციალური საშუალება - ხელბორკილი გამოყენებული იქნა უსაფრთხოების ღონისძიების განხორცილების მიზნით. ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მიერ არ შედგენილა ოქმი ან/და სხვა დოკუმენტი. ხსენებული სამმართველო ხელმძღვანელობს „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანისას ბადრაგირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N149 ბრძანებით. აღნიშნული ბრძანება არ ითვალისწინებს ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველოს მხრიდან შესაბამისი ოქმის შედგენას.[4]

- [redacted]

განმცხადებლის განმარტებით, ჯანმრთელობის პრობლემის გამო, 2024 წლის [redacted] საჭიროებდა კონკრეტული სამედიცინო მომსახურების გაწევას, რომლის ჩატარება დანიშნული ჰქონდა კლინიკაში [redacted] [redacted] თქმით, N[redacted] პენიტენციური დაწესებულებიდან გაყვანისას, [redacted] ბადრაგირებისას ყველა პატიმარს ადევს ხელბორკილი. აღნიშნულს არ დაეთანხმა მსჯავრდებული [redacted] და განმარტა, რომ არ საჭიროებდა მთელი გზის მანძილზე ხელბორკილის დადებას. ამ მიზეზით მსჯავრდებულმა [redacted] უარი განაცხადა კლინიკაში გადაყვანაზე, მიუხედავად იმისა, რომ მისი ჯანმრთელობისთვის სამედიცინო მომსახურება აუცილებელი იყო.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის პოზიციით, N[redacted]პენიტენციური დაწესებულებიდან შპს კლინიკა „ვივამედში“ მსჯავრდებულ [redacted] გადაყვანა დაგეგმილი იყო 2024 წლის 06 სექტემბერს. [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში შემოწმება-დათვალიერების დროს, მსჯავრდებულს ესკორტის ოფიცრების მიერ განემარტა, რომ სპეციალიზებულ ავტომანქანაში ყოფნისას მის მიმართ გამოიყენებდნენ ხელბორკილს. უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, ხელბორკილი მის მიმართ გამოიყენებოდა საქართველოს პენიტენციური კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად.[5]

2024 წლის [redacted] ესკორტირების ოფიცრების მიერ შედგენილი ოქმის თანახმად, მსჯავრდებული [redacted] უნდა გადაეყვანეთ N[redacted] დაწესებულებიდან [redacted] მდებარე კლინიკა [redacted] სამედიცინო პროცედურების ჩატარების მიზნით, რა დროსაც მსჯავრდებულმა შემოწმება-დათვალიერების შემდგომ, უარი განაცხადა საქართველოს პენიტენციური კოდექსის 63-ე მუხლით გათვალისწინებული კანონიერი მოთხოვნის შესრულებაზე (კერძოდ, ხელბორკილის დადებაზე, რაზეც მსჯავრდებული მათ მიერ წინასწარ იყო ინფორმირებული და გაფრთხილებული). მსჯავრდებულმა განაცხადა, რომ თუ მისთვის უნდა დაედოთ ხელბორკილი, ამ შემთხვევაში აღარ გავიდოდა კლინიკა [redacted] და აღნიშნულიდან გამომდინარე, უარი თქვა კლინიკაში გასვლაზე. თანამშრომლების მიერ ყოველივე აღნიშნული ეცნობა ხელმძღვანელობას და შედგენილი იქნა შესაბამისი ოქმი. ხოლო 2024 წლის [redacted] N[redacted] პენიტენციური დაწესებულებიდან კლინიკა [redacted] ესკორტირების უწყისის თანახმად, „[redacted]“ გასწვრივ გრაფაში მითითებულია - „არ გამოვიდა“.[6]

მოგვიანებით, 2024 წლი[redacted] მსჯავრდებულმა [redacted] განმარტა, რომ უკვე მეორედ არ მოხდა მისი სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანა გამოკვლევების ჩასატარებლად, რადგან უარი

განაცხადა ხელბორკილების გამოყენებაზე. განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ ხელბორკილების დადების მოთხოვნა იყო უკანონო, რადგან არ არსებობდა ამის საფუძველი.

- არასრულწლოვანი [redacted]

ადვოკატების [redacted] და [redacted] განცხადების თანახმად, 2024 წლის [redacted] არასრულწლოვანი ბრალდებული [redacted] N [redacted] პენიტენციური დაწესებულებიდან გადაიყვანეს [redacted] სასამართლოში. ბადრაგირების დროს კი, დაადეს ხელბორკილი, რაზეც აფიქსირებდა წინააღმდეგობას, თუმცა ამის მიუხედავად, მას ბორკილები არ მოხსნეს მთლიანი მგზავრობის დროს (1,5 საათი), მათ შორის, არასრულწლოვნის მიერ საკვების მიღებისას. ხელბორკილები მას ეკეთა აგრეთვე უკან დაბრუნების დროსაც. როგორც [redacted] დამატებით აღნიშნავს, კითხვაზე, თუ რატომ დაადეს ბორკილები, განუმარტეს, რომ უბრალოდ ასეთი წესია, ისე, რომ მისი მხრიდან, რაიმე სახის აღელვებას ან სხვა გარემოებას, ადგილი არ ჰქონია. ხოლო, როდესაც არასრულწლოვანმა ბადრაგს აცნობა, რომ ბორკილები უჭერდა, პასუხად მიიღო, რომ ხელები არ უნდა ემოძრავებინა, ყოველივე აღნიშნულის შედეგად კი, მან მძიმე სტრესი განიცადა. არასრულწლოვნის მიერ დამატებით მოწოდებული ინფორმაციით, მასთან მუშაობს სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი.

პენიტენციური სამსახურის პოზიციით, ესკორტირებისა და სპეციალური ღონისძიებების მთავარი სამმართველოს ესკორტირების ჯგუფის უფროსის გადაწყვეტილებით, 2024 წლის [redacted] პენიტენციური დაწესებულებიდან [redacted] სასამართლოში ტრანსპორტირებისას, ბრალდებულ [redacted] მიმართ, მისი და გარშემომყოფთა უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ვინაიდან [redacted] ბრალდებულია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში და იმყოფებოდა არაადეკვატურ მდგომარეობაში, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ხელბორკილის გამოყენების შესახებ, აგრეთვე ესკორტირების ჯგუფისთვის ცნობილი იყო, რომ მან [redacted] პენიტენციური დაწესებულებიდან გამოსვლისას მიიღო ფსიქოტროპული მედიკამენტები. ესკორტირებისა და სპეციალური ღონისძიებების მთავარი სამმართველო ხელმძღვანელობს „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანისას ბადრაგირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N149 ბრძანებით. აღნიშნული ბრძანება არ ითვალისწინებს ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველოს მხრიდან შესაბამისი ოქმის შედგენას.[7]

ბადრაგირების ზოგადი პრაქტიკა

[redacted]

ბადრაგირებისთვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებები

[redacted]

[redacted]

სამართლებრივი დასაბუთება

ქართული კანონმდებლობა

კანონი[13] და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი[14] არეგულირებს სპეციალური საშუალებების გამოყენების საფუძვლებსა და წესს. სპეციალური საშუალება გამოიყენება უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც სხვა საშუალებების გამოყენება არაეფექტიანია. მისი გამოყენება შექმნილი საფრთხის პროპორციული უნდა იყოს და კანონიერი მიზნის მისაღწევად უფრო ნაკლები ზიანი უნდა მიაყენოს პირს, რომლის მიმართაც შესაბამისი ღონისძიება ხორციელდება.[15] სპეციალური საშუალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება გადაწყვეტილების მიმღებ პირს, ხოლო გამოყენებისთვის – სპეციალური საშუალების გამომყენებელ პირს.[16]

დაუშვებელია პენიტენციურ დაწესებულებაში ან პენიტენციური დაწესებულებიდან გაყვანისას ან გადაყვანისას ისეთი სპეციალური საშუალების გამოყენება, რომელიც იწვევს პატიმრის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას, დაკავშირებულია გაუმართლებელ რისკთან ან აკრძალულია საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და აქტებით.[17] დაუშვებელია სპეციალური საშუალებების პატიმრის დასჯის მიზნით[18] და ისეთი ფორმით გამოყენება, რომელიც იწვევს პატივისა და ღირსების შელახვას.[19] სპეციალური საშუალების გამოყენება უნდა შეწყდეს საფუძვლის აღმოფხვრისთანავე, რომლის გამოც ხორციელდება ან როდესაც აშკარაა, რომ გამოსაყენებელი საშუალებით ვერ მიიღწევა ლეგიტიმური მიზანი.[20] სპეციალური საშუალებების ყოველი გამოყენებისას ხორციელდება არსებული სიტუაციის დინამიკაში შეფასება.[21] სპეციალური საშუალებების გამოყენებისას შეძლებისდაგვარად, უნდა იქნეს გათვალისწინებული შესაბამისი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა და შეზღუდული შესაძლებლობა.[22]

სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლება აქვს სპეციალურად უფლებამოსილ პირს, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი მომზადება და ეს პირი გადის პერიოდულ გადამზადებას.[23] სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლებამოსილების მქონე პირი ვალდებულია წინასწარ გააფრთხილოს პატიმარი, მისცეს გონივრული ვადა კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა, ქონების დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი, ან შექმნილ სიტუაციაში ასეთი გაფრთხილება გაუმართლებელია ან შეუძლებელია.[24] სპეციალური საშუალებების გამოყენების შემდეგ პატიმარს უნდა ჩაუტარდეს სამედიცინო შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი გამოკვლევები (კონფიდენციალურობის პრინციპების დაცვით), რომლის შესახებაც დგება შესაბამისი აქტი.[25]

სპეციალური საშუალება - ხელბორკილი - გამოიყენება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, უსაფრთხოების ღონისძიების განსახორციელებლად იმ პატიმრის მიმართ, რომელიც თავისი ქმედებით

საკუთარ ან/და სხვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას; აზიანებს ან ცდილობს დააზიანოს სხვისი/სახელმწიფო ქონება; ცდილობს გაქცევას.[26] დაუშვებელია ბრალდებულის/მსჯავრდებულის ხელბორკილით მყარ ზედაპირზე მიმაგრება, გარდა უკიდურესი შემთხვევისა, როდესაც ამ მუხლით განსაზღვრული კანონიერი მიზნის მიღწევა სხვა საშუალებების გამოყენებით შეუძლებელია.[27] ხელბორკილების დადებისას ბრალდებულს/მსჯავრდებულს, როგორც წესი, ხელები უნდა ჰქონდეს უკან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შესაბამისი მდგომარეობა არ მოიცავს სხვაგვარი ფიქსაციის აუცილებლობას. ხელბორკილები მოიხსნება მხოლოდ ასეთი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მიერ. ხელბორკილები აგრეთვე მოიხსნება: ბუნებრივი საჭიროებისას და კვების დროს (გარდა მასობრივი არეულობის ან ჯგუფური დაუმორჩილებლობის შემთხვევისა); მათი სიცოცხლისთვის საშიში პირობების წარმოქმნისას (ხანძარი, წყალდიდობა და ა.შ.).[28]

ქალებისა და არასრულწლოვანების მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სპეციალური საშუალება - ხელბორკილი, ხოლო ჯგუფური დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღკვეთის, თავდასხმის მოგერიების მიზნით და შეიარაღებული პირის დასაკავებლად, აგრეთვე, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვა კონკრეტული საშუალებები.[29] სპეციალური საშუალების გამოყენებაზე უფლებამოსილი პირის მიერ წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ, როგორც წესი, არ გამოიყენება სპეციალური საშუალებები, გარდა ხელბორკილისა.[30]

სპეციალური საშუალებების გამოყენება ხორციელდება პატიმართა გაყვანა/გადაყვანისას.[31] ხელბორკილის გამოყენებაზე გადაწყვეტილებას პატიმრის გაყვანა/გადაყვანის შემთხვევაში იღებს საბადრაგო ჯგუფის/კოლონის უფროსი,[32] შესაბამისი მოქმედი ჯგუფის უფროსი და გამოყენების უფლება აქვთ სპეციალური დანიშნულების მთავარი სამმართველოს მოსამსახურეებს.[33] პატიმრის გაყვანისას/გადაყვანისას უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან/და მისი გაქცევის თავიდან აცილების მიზნით მის მიმართ სპეციალური საშუალების გამოყენების შესახებ ჯგუფის ან კოლონის უფროსი დაუყოვნებლივ აცნობებს დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელსა და ექიმს, გარდა ხელბორკილის გამოყენების შემთხვევისა.[34]

სპეციალური საშუალების გამოყენების შესახებ დგება ოქმი. ოქმში აღინიშნება გამოყენებული სპეციალური საშუალება, მისი გამოყენების დასაბუთება და სხვა მონაცემები.[35] ოქმს ადგენს და ხელს აწერს მისი გამომყენებელი პირი/პირები. ოქმი რეგისტრირდება დაწესებულებაში და მისი ასლი იგზავნება იმ სამსახურში, რომლის მოსამსახურემაც გამოიყენა სპეციალური საშუალება. ოქმში აღინიშნება გამოყენებული სპეციალური საშუალება, მისი, აგრეთვე, დინამიკაში შეფასების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით სხვა სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ დასაბუთება, ღონისძიების დაწყებისა და დასრულების დრო და სხვა მონაცემები. ოქმს აგრეთვე ხელს აწერს სპეციალური საშუალების გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიმღები პირი.[36] თუ სპეციალურ საშუალებას იყენებს საბადრაგო ჯგუფი/კოლონა ან სპეციალური დანიშნულების ჯგუფი სპეციალური საშუალების გამოყენების შესახებ ოქმს ადგენს და ხელს აწერს შესაბამისი ჯგუფის/კოლონის უფროსი.[37]

საგულისხმოა, რომ სპეციალური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.[38]

უშუალოდ ბადრაგირების მომწესრიგებელი, 2015 წლის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანისას ბადრაგირებას ახორციელებს პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვისა და ბადრაგირების მთავარი სამმართველოს საბადრაგო სამმართველო. ბადრაგირების უსაფრთხოებას, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების ძალების მთავარი სამმართველო.[39] ბადრაგირების განხორციელების თაობაზე დეპარტამენტი ყოველი თვის ბოლოს სამინისტროს წარუდგენს ანგარიშს, რომელშიც ასახული უნდა იქნეს ინფორმაცია ბადრაგირების განხორციელების რაოდენობის და მიზეზის შესახებ.[40]

ბადრაგირება ხორციელდება: ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანისას სასამართლო პროცესებზე, საგამოძიებო ან საპროცესო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად; დაწესებულების დროებით დატოვებისას; სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გაყვანისას, სამკურნალო ან საექსპერტო დაწესებულებაში; სხვა დაწესებულებაში გადაყვანისას, ადგილობრივი საბჭოს ზეპირ სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.[41] უსაფრთხოების მთავარი სამმართველო შეისწავლის გასაყვანი/გადასაყვანი პატიმრის პიროვნებას, ბადრაგირების მიზანშეწონილობას, მოსალოდნელ საფრთხეებს, ასევე, ბადრაგირების პროცესისთვის შესაძლო საფრთხის შემქმნელ სხვა მნიშვნელოვან გარემოებებს და დანიშნულების ადგილას განთავსების უსაფრთხოების საკითხს.[42]

ბადრაგირება შესაძლებელია განხორციელდეს სპეციალურად აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალებით.[43] აკრძალულია ბადრაგირებისას ისეთი სატრანსპორტო საშუალების გამოყენება, რომელიც არის დამამცირებელი ან ფიზიკურ ტანჯვას მიაყენებს პატიმრებს ან რომელშიც არ არის საკმარისი ვენტილაცია/გათბობა, განათება, ცეცხლჩამქრობი და პორტატული პირველადი სამედიცინო დახმარების აფთიაქი; ასევე, სპეციალური სატრანსპორტო საშუალება აღიჭურვება ადგილმდებარეობის განსაზღვრის გლობალური თანამგზავრული სანავიგაციო სისტემით (GPS),[44] რომლის საშუალებით ბადრაგირების

მონიტორინგის მიზნით ხორციელდება გადაადგილების 24-საათიანი კონტროლი, მათ შორის, მარშრუტის შესრულების სიზუსტის, სიჩქარის, გაჩერებების და დროის გადაჭარბების კონტროლი.[45]

ბადრაგი სპეციალურ სატრანსპორტო საშუალებაში განათავსებს პატიმრებს, კეტავს კარებს და გადასცემს გასაღებს ჯგუფის უფროსს; ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, სატრანსპორტო საშუალებით პატიმრის გაყვანა/გადაყვანისას მუდმივად მიმდინარეობს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი.[46] ჩასხდომის დამთავრების შემდეგ ჯგუფის უფროსი ამოწმებს პატიმართა რაოდენობას, კარის დაკეტვის სიმტკიცეს, იარაღსა და საბრძოლო მასალებს გადასცემს საბადრაგო ჯგუფის წევრებს და ამოწმებს მათ მზადყოფნას.[47] საბადრაგო ჯგუფის წევრები განთავსდებიან: პატიმართა საკნებთან (არანაკლებ ორი), ავტომობილის წინა ნაწილში (არანაკლებ ერთი - მძღოლი).[48] საბადრაგო ჯგუფის წევრები ვალდებული არიან: არ დატოვონ მუდმივი ვიზუალური მეთვალყურეობის გარეშე პატიმარი; მათი სატრანსპორტო საშუალებაში მოთავსების წინ შეამოწმონ კარებების, საკეტების, კავშირისა და განათების საშუალებების გამართულობა, დარწმუნდნენ განთავსების ადგილებში უცხო საგნების არარსებობაში; პატიმარი განათავსონ ჯგუფის უფროსის მითითებით, ხმამაღალი დათვლით და დაკეტონ კარები საკეტით; აწარმოონ დაკვირვება მათ ქცევაზე; შეაფასონ პატიმრის მიერ მოსალოდნელი გაქცევის რისკები და მოახდინონ შესაბამისი რეაგირება.[49] საბადრაგო ჯგუფის წევრები ბადრაგირებისას თავდასხმის ან თავდასხმის მცდელობისას, გაქცევისას ან გაქცევის მცდელობისას ფიზიკურ ძალას, სპეციალურ საშუალებებსა და ცეცხლსასროლ იარაღს იყენებენ მოქმედი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.[50]

ქალთა (მათ შორის, ორსულ ან/და 3 წლამდე ასაკის ბავშვთან ერთად), არასრულწლოვანთა, ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ბადრაგირებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათ მოთხოვნილებებს, ფიზიკურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ საჭიროებებს, მათ შორის, სატრანსპორტო საშუალების ტიპის შერჩევას, კონტროლის მეთოდებსა და ხელბორკილების გამოყენებას.[51]

უფრო ახალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლითაც დამტკიცდა პენიტენციური დეპარტამენტის ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველოს დებულება, ხსენებული სამმართველოს ამოცანას მიაკუთვნებს პატიმართა გაყვანას/გადაყვანას და უსაფრთხოების დაცვას; ხოლო ფუნქციებს - პატიმართა გაყვანის/გადაყვანის და მათთან დაკავშირებული დამატებითი უსაფრთხოების ღონისძიებების შემუშავებას და განხორციელებას.[52] ამასთან, ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა სამმართველო საჭიროებიდან გამომდინარე, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, იყენებს სპეციალურ საშუალებებსა და ცეცხლსასროლ იარაღს.[53]

საერთაშორისო სტანდარტები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხელბორკილების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს, განიხილავს კონვენციის მე-3 (წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის აკრძალვა) და მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) მუხლების ჭრილში.

პირის მორალური და ფიზიკური მთლიანობის ასპექტები, როგორც კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით, პირადი ცხოვრების კონცეფციის ნაწილი, ვრცელდება თავისუფლების აღკვეთის სიტუაციებზე. თუმცა, შემაკავებელი ზომების გამოყენებამ, როგორიცაა ხელბორკილები, პატიმარზე ფიზიკურად ან ფსიქიკურად უნდა იმოქმედოს ან უნდა იყოს მიმართული მის დამცირებაზე, რათა წარმოიშვას საკითხი მე-8 მუხლის მიხედვით.[54]

შემაკავებელი ღონისძიებები/ინსტრუმენტები, როგორიცაა ხელბორკილები, ჩვეულებრივ არ წარმოშობს საკითხს კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით, როდესაც ისინი გამოყენებულია კანონიერი დაკავების შემდეგ და არ გულისხმობს იმაზე მეტი ძალის გამოყენებას, რაც აბსოლუტურად აუცილებელი იყო მოცემულ გარემოებებში.[55] სასამართლო ყოველთვის ითვალისწინებს საქმის კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს და იკვლევს, იყო თუ არა საჭირო შემაკავებელი საშუალებების გამოყენება.[56] ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, არსებობს თუ არა საფუძველი იმის დასაჯერებლად, რომ პირი გაუწევდა წინააღმდეგობას დაპატიმრებას ან ცდილობდა მიმალვას ან მტკიცებულებების დაზიანებას ან განადგურებას.[57]

სასამართლომ დაადგინა, რომ ხელბორკილების გამოყენება შეიძლება გამართლებული იყოს კონკრეტულ შემთხვევებში, როგორიცაა, ციხის გარეთ გადაყვანა; როდესაც გამოიყენება ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში ან როდესაც ის წარმოადგენს ინდივიდუალურ და პერიოდულად განსახილველ ზომას განმცხადებლის მიმართ, რომელიც დაკავშირებულია პირადი რისკის შეფასებასთან მისი ქცევის საფუძველზე.[58] ამ კონტექსტში სიმძიმის დონის შეფასებისას სასამართლო აფასებს სხვადასხვა ფაქტორებს, როგორიცაა: განმცხადებლის სასჯელის სიმძიმე, მისი კრიმინალური წარსული და ძალადობის ისტორია;[59] ღონისძიების შესაბამისობა შიდა კანონმდებლობასთან;[60] ღონისძიების პროპორციულობა

ჯანმრთელობისთვის;[62] განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა და გამოყენებული უსაფრთხოების სხვა ღონისძიებები;[63] ასევე, ხელბორკილების გამოყენების[64] პერიოდი.[65]

სასამართლო აცნობიერებს პენიტენციურ დაწესებულებებში წესრიგისა და დისციპლინის დასაცავად არსებულ სირთულეებს, სახელმწიფომ სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს ძალადობრივი დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირების მიმართ, რომლებიც მტრულად არიან განწყობილი ციხის თანამშრომლებისა და სხვა პატიმრების მიმართ. თუმცა უვადო თავისუფლების აღკვეთაც კი ვერ გაამართლებს ხელბორკილების რუტინულ და ხანგრძლივ გამოყენებას, რომელიც არ ეფუძნება უსაფრთხოების სპეციფიკურ მახასიათებლებს და პატიმრის პირად გარემოებებს; და, ასევე, არ ექვემდებარება რეგულარულ განხილვას. სწორედ ამიტომ, მე-3 მუხლის დარღვევა დადგინდა უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების მიმართ ხელბორკილების ხანგრძლივი, სისტემატური, რეგულარული და რუტინული გამოყენების გამო, რაც არ ეფუძნებოდა ინდივიდუალური სიტუაციის სათანადო შეფასებას; ასევე, უსაფრთხოების საკითხის განხილვას, არ ჰქონდა საკმარისი დასაბუთება და არ არსებობდა რეგულარული შეფასება ღონისძიების გამოყენების კონკრეტული მიზნის თაობაზე.[66]

სასამართლომ არაერთხელ დაადგინა, რომ ავადმყოფი ან სხვაგვარად მოწყვლადი პირისთვის ხელბორკილების დადება არაპროპორციულია უსაფრთხოების მოთხოვნებთან და გულისხმობს გაუმართლებელ დამცირებას, მიუხედავად იმისა, განზრახ არის ჩადენილი თუ არა.[67] სასამართლომ ხელბორკილების გამოყენება გაუმართლებლად მიიჩნია: ფსიქიკურად დაავადებული პატიმრისთვის გარკვეული დროით ფსიქიატრიული დასკვნის ან დასაბუთების გარეშე;[68] ავადმყოფი პატიმრების მიმართ სამედიცინო მომსახურების დროს;[69] ორსული ქალის მიმართ.[70]

სასამართლო მიიჩნევს, რომ პატიმართა ტრანსპორტირება გარდაუვლად იწვევს გარკვეულ შეზღუდვებს იმ ადამიანების ტრანსპორტირებასთან შედარებით, რომლებიც არ არიან პატიმრები. თუმცა მიუხედავად ამისა, უსაფრთხოების შესაძლო რისკების გათვალისწინებით, პატიმრების გადაყვანის ძირითადი პირობები არ უნდა იყოს გაუმართლებლად დაბალი იმ მინიმალურ სტანდარტზე, რომლითაც სახელმწიფო ორგანოებს ვალდებულება აქვთ უზრუნველყონ მთლიანი მოსახლეობა.[71]

პატიმართა ტრანსპორტირების საკითხის შეფასებისას სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სატრანსპორტო საშუალებაში პატიმართა განთავსების ადგილის მცირე ფართობსა[72] და დაბალ სიმაღლეზე/დაბალ ჭერზე;[73] ტევადობაზე მეტი რაოდენობის ადამიანის განთავსებაზე;[74] ასევე, არასაკმარის ვენტილაციასა და განათებაზე.[75] გარდა ამისა, ასეთ პირობებში ბადრაგირებისას სასამართლო ითვალისწინებს მგზავრობის სიხშირეს, რაოდენობას და ხანგრძლივობას.[76] ხანგრძლივი მგზავრობისას, ღამისთევით ან სარკინიგზო ტრანსპორტით გადაყვანისას სასამართლომ მიუთითა ყველა პატიმრისთვის საკუთარი დასაძინებელი ადგილის, წყალსა და საკვებზე, საპირფარეშოზე წვდომის აუცილებლობის საკითზე.[77]

რაც შეეხება სასამართლოს მიდგომას უსაფრთხოების მოწყობილობების ქონასთან, რაც ამცირებს სატრანსპორტო საშუალებაში დაზიანების რისკს, მე-3 მუხლის დარღვევას თავისთავად არ იწვევს მხოლოდ ღვედის არარსებობა.[78] თუმცა, მე-3 მუხლის დარღვევის საკითხი შეიძლება დადგეს უსაფრთხოების ღვედის არარსებობისას გარკვეულ გარემოებებში და სხვა ფაქტორებთან ერთობლიობაში, როგორიცაა პარაპლეგიით დაავადებული პატიმრის გადაყვანა უსაფრთხოების ღვედის გარეშე (ეტლის ადგილზე დაფიქსირების მიზნით), სატრანსპორტო საშუალებაში ასვლის და გადმოსვლის უხეში მეთოდებით და ხელბორკილებით ტრანსპორტირებისას.[79]

სასამართლომ ჩათვალა, რომ ავადმყოფი პატიმრის საავადმყოფოში გადაყვანისას, ქიმიოთერაპიის გავლის დროს, ფიზიკური სისუსტის გათვალისწინებით, ხელბორკილების გამოყენება იყო უსაფრთხოების საჭიროებასთან არაპროპორციული.[80] განსხვავებულია შეფასება, როცა შეიარაღებული სეპარატისტული მოძრაობის ლიდერს (საშიშად ითვლებოდა) ხელბორკილები ეკეთა თვითმფრინავში დაკავების მომენტიდან ციხეში მიყვანამდე. ამიტომ სასამართლო დაეთანხმა მთავრობის არგუმენტს, რომ განმცხადებლის მიმართ დაკავებისას მიღებული უსაფრთხოების ერთ-ერთი ღონისძიების - ხელბორკილების გამოყენების ერთადერთი მიზანი გაქცევის მცდელობის, საკუთარი თავისთვის ან სხვებისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილება იყო.[81]

გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების (ნელსონ მანდელას წესები)[82]
თანახმად, როდესაც პატიმრები გადაჰყავთ პატიმრობის ერთი ადგილიდან მეორეში, ისინი მაქსიმალურად უნდა მოარიდონ უცხო თვალს და მიღებულ უნდა იქნას ყველა ზომა, რომ პატიმრები დაცულნი იყვნენ შეურაცხყოფისაგან, ცნობისმოყვარეებისაგან და ნებისმიერი ფორმით გახმაურებისგან. აკრძალულია პატიმრების გადაადგილება არასაკმარისი ვენტილაციის ან განათების, ან სხვა ნებისმიერ რთულ პირობებში. რაც შეეხება შემაკავებელ საშუალებებს, აკრძალულია ჯაჭვების, რკინების და დამორჩილების არსებითად მტკივნეული და დამამცირებელი საშუალებების გამოყენება. სხვა შემაკავებელი საშუალებების გამოყენება ნებადართულია მხოლოდ კანონიერი ნებართვის საფუძველზე: პატიმრის გადაყვანის დროს, როგორც გაქცევის აღმკვეთი ზომა და იმ პირობით, რომ მოხსნიან პატიმრის სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენამდე; ციხის დირექტორის მიერ გაცემული ბრძანების საფუძველზე,

იმ შემთხვევაში, როდესაც კონტროლის ყველა სხვა მექანიზმი უშედეგოა და შეუძლებელი პატიმრის მიერ თვითდაზიანების ან სხვების ან ქონების დაზიანების შეჩერება. აუცილებელია, დირექტორმა დაუყოვნებლივ აცნობოს ექიმს ან სხვა კვალიფიციურ სამედიცინო პროფესიონალს ასეთი შემთხვევების შესახებ და მიაწოდოს ინფორმაცია ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს. როდესაც შემაკავებელი საშუალებების გამოყენება ხდება, უნდა მოქმედებდეს შემდეგი პრინციპები:

- შემაკავებელი საშუალებების გამოყენება ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არცერთი მასზე მსუბუქი ზომა არ არის ეფექტური შეუზღუდავი გადაადგილებით გამოწვეული რისკების აღსაკვეთად;
- გამოყენებული შეკავების მეთოდი უნდა წარმოადგენდეს ყველაზე ნაკლებ ინტრუზიულ მეთოდს, რომლის გამოყენებაც აუცილებელი და გონივრულად ხელმისაწვდომია პატიმრის მოძრაობის კონტროლისთვის, წარმოქმნილი რისკის დონისა და ხასიათის გათვალისწინებით;
- შეკავების საშუალებების გამოყენება დაშვებულია მხოლოდ საჭირო დროის მონაკვეთში და უნდა მოიხსნას პატიმრის უკონტროლო მოძრაობით გამოწვეული რისკის გაქრობისთანავე;
- შემაკავებელი საშუალებების გამოყენება დაუშვებელია ორსული, მშობიარე და ახლადნამშობიარები ქალების მიმართ.

ევროპული ციხის წესების[83] თანახმად, პატიმართა გადაყვანისას ციხეში, სასამართლოში ან საავადმყოფოში, ისინი რაც შეიძლება ნაკლებად უნდა იყვნენ წარმოდგენილი საზოგადოების წინაშე და სათანადო გარანტიები უნდა იქნას მიღებული მათი ანონიმურობის უზრუნველსაყოფად. აკრძალულია პატიმართა ტრანსპორტირება არასაკმარისი ვენტილაციის ან განათების მქონე სატრანსპორტო საშუალებებით, ან რომელიც მათ ზედმეტ ფიზიკურ დისკომფორტს ან უხერხულობას უქმნის. გამოიყენება მხოლოდ კანონით ნებადართული შემაკავებელი საშუალებები და მათი გამოყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც კონტროლის სხვა ნაკლები ფორმა პატიმრისგან გამოწვეული რისკების აღმოსაფხვრელად არ იქნება ეფექტიანი. შეზღუდვის მეთოდი უნდა იყოს ყველაზე ნაკლებად ინტრუზიული, რაც არის საჭირო და გონივრულად ხელმისაწვდომი პატიმრის მოძრაობის/გადაადგილების კონტროლისთვის, არსებული რისკების დონისა და ხასიათის მიხედვით. შემაკავებელი საშუალებები გამოიყენება მხოლოდ საჭირო პერიოდის განმავლობაში და უნდა მოიხსნას როგორც კი, შეუზღუდავი გადაადგილებით გამოწვეული რისკები აღარ არსებობს. ხელბორკილები, დამაწყნარებელი პერანგი და სხეულის სხვა სამაგრები არ უნდა იქნას გამოყენებული გარდა შემდეგი შემთხვევისა: საჭიროების შემთხვევაში, გადაყვანის დროს გაქცევის თავიდან ასაცილებლად, იმ პირობით, რომ ისინი უნდა მოიხსნას, როდესაც პატიმარი წარდგება სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე, თუ ეს ორგანო არ გადაწყვეტს საწინააღმდეგოს; ან დირექტორის ბრძანებით, თუ კონტროლის სხვა მეთოდებით ვერ მოხერხდა პატიმრის დაცვა თვითდაზიანებისაგან, სხვების ან ქონების სერიოზული დაზიანების თავიდან აცილება, იმ პირობით, რომ ასეთ შემთხვევებში დირექტორმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ექიმს და მოახსენოს ციხის ზემდგომ ორგანოს. შემაკავებელი საშუალებების გამოყენების წესი მითითებული უნდა იყოს ეროვნულ კანონმდებლობაში. აკრძალულია ჯაჭვების და სხვა შემაკავებელი საშუალებების გამოყენება, რომლებიც არსებითად დამამცირებელია. დაუშვებელია შემაკავებელი საშუალებების გამოყენება ქალი პატიმრების მიმართ მშობიარობის დროს ან მშობიარობისთანავე. შემაკავებელი საშუალებების გამოყენება სათანადოდ უნდა იყოს აღრიცხული რეესტრში.

„პატიმართა ტრანსპორტირების დროს ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ"[84] ევროპის საბჭოს რეზოლუციით, პატიმართა ტრანსპორტირებისას არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისგან დასაცავად საპარლამენტო ასამბლეა მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს ეროვნული სამართლებრივი რეგულაცია და პრაქტიკა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანონ; პატიმართა ტრანსპორტირების ყველა საშუალებებში დაცული იყოს შესაბამისი მატერიალური და უსაფრთხოების სტანდარტები; გაითვალისწინონ შესაბამისი ფართი CPT-ის რეკომენდაციების შესაბამისად; საჭიროებისამებრ უზრუნველყონ ძირითადი საჭიროებები და შესვენებები. პატიმართა ტრანსპორტირება მკაცრად უნდა იყოს შეზღუდული დროში და გამოიყენონ უმოკლესი მარშრუტები, ზედმეტი შეფერხებების თავიდან აცილების მიზნით; ყველა გადაყვანა განხორციელდეს სახელმწიფოს უფლებამოსილი პირის კომპეტენტური ბრძანების ან გადაწყვეტილების საფუძველზე ყოველი ცალკეული შემთხვევის საფუძვლიანი შეფასებისა და დაგეგმვის შემდეგ; გადაყვანისას დაცული უნდა იყოს პატიმართა ჯანმრთელობა; ტრანსპორტირებისას პატიმართა გარკვეული კატეგორიები უნდა გამოიყოს სხვებისგან; საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი ბადრაგით, მათ შორის, სამედიცინო პერსონალით, ქალი პერსონალით და/ან არასრულწლოვნებთან მუშაობისთვის მომზადებული პერსონალით; ტრანსპორტირების დროს პატიმრებზე დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვა უნდა შემოიფარგლოს ლეგიტიმური მიზნის მკაცრად აუცილებელი და პროპორციული საშუალებით და უნდა არსებობდეს გარანტია იმისა, რომ: ძალისა და შემაკავებელი საშუალებების გამოყენება ყოველთვის შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რაც მკაცრად აუცილებელია; ასევე, ინდივიდუალური რისკის უზრუნველსაყოფად შეფასებები უნდა ჩატარდეს. ევროპის საბჭოს ან სხვა საერთაშორისო სტანდარტებით აკრძალული შემაკავებელი საშუალებები, როგორიცაა, ჯაჭვები, ელექტრო ტანის ღვედები, ან მოწყობილობები, რომლებიც მიზნად ისახავს პატიმრების ხედვის შეზღუდვას, არასოდეს უნდა იქნეს გამოყენებული. მოხდეს პერსონალის გადამზადება, რომელიც ახორციელებს პატიმართა ტრანსპორტირებას, რომ პატივი სცენ პატიმართა ღირსებას და უფლებებს; ასევე, პატიმართა გადაყვანის პირობები უნდა დაექვემდებაროს მონიტორინგს პრევენციის ეროვნული მექანიზმებით ან სხვა სათანადო კვალიფიციური ორგანოების მიერ.

[illegible] (CPT)

სასამართლოში ან საავადმყოფოში) ყოველთვის უნდა განხორციელდეს ჰუმანურად, უსაფრთხოდ და დაცულად. ამ თვალსაზრისით ყურადღება გამახვილებულია სატრანსპორტო საშუალების მატერიალურ პირობებზე: ფართობზე, მგზავრობის დროსა და დისტანციაზე, გონივრულ სიმაღლეზე, სუფთა, საკმარისად განათებული და ვენტილაციის და გათბობით, სათანადო სკამებით და სავარძლებით აღჭურვაზე ასევე, საჭიროა პატიმართა უზრუნველყოფა სასმელი წყლით და შორ მანძილზე, ხანგრძლივი მგზავრობისას - საკვებით, ასევე, სანიტარული ობიექტების ხელმისაწვდომობით. ამასთან, კომიტეტი მიუთითებს, რომ პატიმრების ტრანსპორტირება უნდა მოხდეს ამ მიზნით შექმნილი შესაფერისი სატრანსპორტო საშუალებებით, დაცვის ყველა შესაბამისი მოთხოვნის სათანადო გათვალისწინებით: პატიმართა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ტრანსპორტში ტევადობას, არ უნდა უწევდეთ ფეხზე დგომა მგზავრობისას დასაჯდომი ადგილის ნაკლებობის გამო, ყველა სატრანსპორტო საშუალება, აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი უსაფრთხოების საშუალებით, როგორიცაა უსაფრთხოების ღვედები. უსაფრთხო კაბინების კარები აღჭურვილი უნდა იყოს მოწყობილობით, რომელიც ავტომატურად (ან/და სწრაფად) ხსნის კარებს საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში. პატიმრების ციხიდან საავადმყოფოში და პირიქით გადასაყვანად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალება უნდა იყოს შერჩეული მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით.[85]

CPT ტრანსპორტირების დროს დაკავებულების მიმართ ხელბორკილების ან/და სხეულის ღვედის გამოყენებას დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ მაშინ, როცა რისკის შეფასება ინდივიდუალურ შემთხვევაში აშკარად გამართლებულია. როდესაც ასეთი საშუალებების გამოყენება ითვლება აბსოლუტურად აუცილებლად, ისე უნდა გამოიყენონ, რომ მინიმუმამდე დაიყვანონ დაკავებული პირის დაზიანების რისკი. ასეთი საშუალებები არ უნდა იქნას გამოყენებული, როდესაც დაკავებულები არიან ჩაკეტილი უსაფრთხო კაბინებში ან განყოფილებებში/კუპეებში. პირისთვის დისკომფორტის და უბედური შემთხვევის დროს ტრავმის რისკის გათვალისწინებით, დაკავებულების ტრანსპორტირების დროს ზურგს უკან ხელბორკილების დადების პრაქტიკა თავიდან უნდა იქნას აცილებული. სხეულის ქამრის გამოყენება არ არის დასაშვები. შეზღუდვის ალტერნატიული საშუალებები შეიძლება და უნდა მოიძებნოს პატიმართა გადაადგილების კონტექსტის გათვალისწინებით. უნდა გაუქმდეს ტრანსპორტირებისას პატიმრების მიმართ მხედველობის დაბლოკვის მიზნით მოწყობილობების გამოყენების პრაქტიკა (მაგალითად სათვალეები).[86]

უფრო კონკრეტულად, CPT-მ რამდენიმე ქვეყანაში ვიზიტის შემდგომ ანგარიშებში გასცა რეკომენდაციები პატიმართა ტრანსპორტირების სისტემის გადახედვის შესახებ, როცა პატიმრები ჩიოდნენ ერთი ციხიდან სხვა ციხეში გადაყვანის დროს (ზოგიერთ შემთხვევაში, მგზავრობა 8 საათს გრძელდებოდა) შესვენების/გაჩერების არ არსებობის (შესაბამისად, ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობის არქონას) და ტრანსპორტში ვენტილაციის არარსებობის თაობაზე. გარდა ამისა, CPT შეშფოთებას გამოთქვამდა პატიმართა მგზავრობის დროს **ხელბორკილების რუტინულად გამოყენებაზე,** როცა ისინი ჩაკეტილები იყვნენ უსაფრთხო კაბინებში ინდივიდუალურად ან ლითონის კაბინებში. კომიტეტი მიუთითებდა ტრანსპორტირებისას ხელბორკილების გამოყენების საშიშროებაზე და **მისი რუტინული გამოყენების შეწყვეტის მიზანშეწონილობაზე.[87]**

გაეროს თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ წესების[88] თანახმად, დაუშვებელია შეზღუდვის საშუალებებისა და ძალის გამოყენება ნებისმიერი მიზნით, გარდა შემდეგი შემთხვევისა: შეზღუდვის საშუალებებისა და ძალის გამოყენება მხოლოდ იმ გამონაკლის შემთხვევებშია ნებადართული, როცა ამოწურულია ყველა სხვა კონტროლის მეთოდი და მათ ვერ გაამართლეს და თუ მათი გამოყენება ნათლადაა ნებადართული და დაკონკრეტებული შესაბამისი კანონითა და მარეგულირებელი წესებით. ამ საშუალების გამოყენებამ არ უნდა გამოიწვიოს დამცირება და შეურაცხყოფა, უნდა იქნეს გამოყენებული ძალიან შეზღუდულად და მაქსიმალურად მცირე ვადით. ადმინისტრაციის დირექტორის ბრძანებით, ამგვარ ღონისძიებას შეიძლება მიმართონ არასრულწლოვანის მიერ თვითდაზიანების მიყენების, სხვების დაზიანების ან ქონების სერიოზულად განადგურების პრევენციის მიზნით. ამ შემთხვევებში დირექტორი უნდა მოეთათბიროს სამედიცინო და სხვა შესაბამის პერსონალს და ამის შესახებ მოახსენოს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს.

არასრულწლოვნების მიმართ ევროპული წესების[89] თანახმად, ხელბორკილები ან დამაწყნარებელი პერანგი არ უნდა იქნას გამოყენებული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ძალის გამოყენების ნაკლებად ინტენსიური ფორმები წარუმატებელი აღმოჩნდა. ხელბორკილები, ასევე, შეიძლება გამოყენებულ იქნას, თუ ეს აუცილებელია ძალადობრივი ქცევის ან გადაცემის დროს გაქცევის საწინააღმდეგოდ. ხელბორკილები უნდა მოიხსნას, როდესაც არასრულწლოვანი სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე წარდგება, თუ ეს ორგანო სხვაგვარად არ გადაწყვეტს. შემაკავებელი ღონისძიებები არ უნდა იქნეს გამოყენებული იმაზე მეტ ხანს, ვიდრე ეს აუცილებელია. აკრძალულია ჯაჭვების გამოყენება. შემაკავებელი საშუალებების გამოყენების წესი განისაზღვრება ეროვნული კანონმდებლობით.

მოცემული საკითხის ანალიზი

წინამდებარე საქმის შესწავლით ირკვევა, რომ ესკორტირებისა და სპეციალური ღონისძიებების სამმართველოს თანამშრომლების მიერ ბადრაგირების პროცესში სპეციალური სატრანსპორტო საშუალების ლითონის კარებით (გასაღებით) ჩაკეტილ განყოფილებაში/საკანში ყოფნის დროს პატიმართა

მიმართ სპეციალური საშუალება - ხელბორკილი - გამოიყენება რუტინულად და არ დგება წერილობითი დოკუმენტი/ოქმი. სამმართველო არ აღრიცხავს ბადრაგირებული პატიმრების რაოდენობას და არც იმ პატიმრების რიცხვს, რომელთა მიმართ, ბადრაგირების პროცესში, სპეციალური სატრანსპორტო საშუალების რკინის კარებით ჩაკეტილ განყოფილებაში ყოფნის დროს, ხელბორკილი იქნა გამოყენებული.

პატიმართა უფლებების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ხელბორკილების გამოყენება დასაშვებია ციხის გარეთ გადაყვანისას, ხანმოკლე პერიოდით (პერიოდული გადახედვით), ინდივიდუალურად, პატიმრის ქცევის შეფასების საფუძველზე მისი რისკის შეფასების შედეგად. ამ თვალსაზრისით შესაფასებელ გარემოებებს წარმოადგენს სასჯელის სიმძიმე, პატიმრის კრიმინალური წარსული და ძალადობის ისტორია, ხელბორკილის გამოყენების პროპორციულობა პატიმრის ქცევასთან მიმართებით, ჯანმრთელობის მდგომაროება და შედეგები ჯანმრთელობისთვის; ასევე, ხელბორკილების გამოყენების პერიოდი. გარდა ამისა, აუცილებელია პატიმართა ტრანსპორტირება ისეთი სატრანსპორტო საშუალებებით, რომელშიც დაცული იქნება სათანადო პირობები (ვენტილაცია, სითბო, საკმარისი ფართობი, სავარძლები და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისთვის საჭირო აღჭურვილობა). CPT აკრიტიკებს რამდენიმე ქვეყანაში ტრანსპორტირებისას პატიმართა მიმართ ხელბორკილის რუტინულად გამოყენებას, როცა ჩაკეტილ ლითონის კონსტრუქციის კაბინაში იმყოფებიან და ამის საშიშროებაზეც მიუთითებს.

ცხადია, პატიმართა ბადრაგირების პროცესში აუცილებელია უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ამ მიზნით, გამოიყენება კიდეც სპეციალური სატრანსპორტო საშუალება, სადაც მოწყობილია ლითონის საკნები, რომელიც თავის მხრივ, გასაღებით იკეტება. ასეთ გარემოებებში მგზავრობისას, სავალდებულო და ჯეროვანი ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურეობის პირობებში გაქცევის რისკები თითქმის გამოირიცხება. [redacted] შესაბამისად [redacted] შემდეგ, პატიმართა ბადრაგირების პროცესში ლითონის ჩაკეტილ სივრცეში ხელბორკილებით მგზავრობის დამკვიდრებული პრაქტიკა, რაზეც პატიმრები მიუთითებენ, არ ითვალისწინებს ინდივიდუალურად კონკრეტული პატიმრისგან მომდინარე შესაძლო საფრთხეებს, დანაშაულებრივ ქმედებას, რისთვისაც ისინი არიან ბრალდებულები ან მსჯავრდებულები და ნასამართლობის ისტორიას, არასრულწლოვან ასაკს და ყველას მიმართ განურჩევლად, რუტინულად გამოიყენება ხელბორკილები.

სპეციალური საშუალების - ხელბორკილების გამოყენების პროცესში ინდივიდუალური გარემოებების შესწავლა, დადგენა და დასაბუთება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რასაც პირდაპირ უკავშირდება ხსენებული ფაქტის დოკუმენტირების საკითხი. პენიტენციური კოდექსი და სპეციალური საშუალებების გამოყენების თაობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ავალდებულებს სპეციალური საშუალების გამომყენებელ პირს შესაბამისი დოკუმენტის - ოქმის შედგენას,[90] მათ შორის, საბადრაგო ჯგუფის/ კოლონის ან სპეციალური დანიშნულების ჯგუფის მიერ სპეციალური საშუალების გამოყენების შესახებ ოქმს ადგენს და ჯგუფის/კოლონის უფროსი.[91] თუმცა უშუალოდ ბადრაგირების წესი[92] არ შეიცავს ამგვარ მოთხოვნას. სწორედ ხსენებულ ბრძანებაზე მითითებით, პენიტენციური დეპარტამენტის ესკორტირებისა და სპეციალური ღონისძიებების მთავარი სამმართველო პატიმართა ბადრაგირების პროცესში სპეციალური საშუალების - ხელბორკილის გამოყენების შესახებ ოქმს არ ადგენს.

კანონით, მოსამსახურის შეიარაღებაში არსებული სპეციალური საშუალებების სახეები, ამ საშუალებების შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესები და გამოყენების შესახებ შესადგენი ოქმის ფორმა განისაზღვრება და მტკიცდება მინისტრის ბრძანებით.[93] პენიტენციური კოდექსი, რომელიც 2024 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა,[94] ადგენს, რომ მისი ამოქმედებიდან 1 წლის ვადაში სამინისტრომ და სხვა შესაბამისმა უწყებებმა უნდა უზრუნველყონ მოცემული კოდექსით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების გამოცემა, აგრეთვე, ძალადაკარგულად გამოცხადებული საკანონმდებლო აქტის - საქართველოს პატიმრობის კოდექსის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტების პენიტენციურ კოდექსთან შესაბამისობა.[95] საგულისხმოა, რომ პატიმრობის კოდექსის საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას, თუ ეს აქტები არ ეწინააღმდეგება ამ კოდექსს.[96] აღსანიშნავია, რომ სპეციალური საშუალებების და ბადრაგირების წესის შესახებ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები გამოცემულია 2014-2015 წლებში, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიერ.

ამრიგად, აუცილებელია, საქართველოს პენიტენციური კოდექსის შესაბამისად, ტრანსპორტირების პროცესში პატიმართა უფლებების თაობაზე საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ახალ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში განისაზღვროს მკაფიო რეგულაციები.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ წინადადებით უზრუნველყოთ შესაბამის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში ცვლილებების შეტანა ან/და ახალ აქტში განისაზღვროს:

1. პატიმრის ბადრაგირების დროს სპეციალური საშუალების - ხელბორკილის გამოყენების [illegible]

2. პატიმართა ბადრაგირების პროცესში, სპეციალური სატრანსპორტო საშუალების ლითონის ჩაკეტილ სივრცეში/საკანში ყოფნისას პატიმრების მიმართ ხელბორკილის გამოყენების მკაფიო და კონკრეტული წესები, შემდეგი ვალდებულების დაწესებით:

   2.1. შეფასდეს თითოეული კონკრეტული პატიმრის ინდივიდუალური მახასიათებლები და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარემოებები, მათ შორის, ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა და შეზღუდული შესაძლებლობა;

   2.2. შესაბამისმა უფლებამოსილმა პირმა, ყველა შემთხვევაში, წერილობით დაასაბუთოს ხელბორკილის გამოყენების აუცილებლობა.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები სახალხო დამცველს აცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

---

[1] 2023 წლის 1 ნოემბერი, < https://1tv.ge/news/aversis-klinikashi-saidanac-sami-patimari-gaiqca-sagamodziebo-moqmedebebi-mimdinareobs/ > [ბოლოს ნანახია: 04.12.2024 წ.

[2] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის ესკორტირებისა და სპეციალური ღონისძიებების მთავარი სამმართველოს 2023 წლის 8 დეკემბრის N342404/01 წერილი.

[3] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2024 წლის 16 მაისის N141378/01 წერილის დანართი.

[4] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ესკორტირებისა და სპეციალური ღონისძიებების მთავარი სამმართველოს 2024 წლის 8 აპრილის N101850/01 და 24 მაისის N149432/01 წერილები.

[5] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის ესკორტირებისა და სპეციალური ღონისძიებების მთავარი სამმართველოს 2024 წლის 27 სექტემბრის N283119/01 წერილი.

[6] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის ესკორტირებისა და სპეციალური ღონისძიებების მთავარი სამმართველოს 2024 წლის 27 სექტემბრის N283119/01 წერილის დანართი.

[7] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ესკორტირებისა და სპეციალური ღონისძიებების მთავარი სამმართველოს 2024 წლის 16 ოქტომბრის N309697/01 წერილი.

[8] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ესკორტირებისა და სპეციალური ღონისძიებების მთავარი სამმართველოს 2024 წლის 15 ივლისის N205976/01 წერილი.

[9] [redacted]

[10] [redacted]

[11] [redacted]

[12] [redacted]

[13] საქართველოს პენიტენციური კოდექსი.

[14] „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შეიარაღებაში არსებულ სპეციალურ საშუალებათა სახეების, მათი შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესის და პირობების, აგრეთვე სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლების მქონე პირის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანება.

[15] საქართველოს პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 63 ნაწ. 3; „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შეიარაღებაში არსებულ სპეციალურ საშუალებათა სახეების, მათი შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესის და პირობების, აგრეთვე სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლების მქონე პირის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანება, N1 დანართი. მუხლ. 2 პუნქტ. 2.

[16] საქართველოს პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 63 ნაწ. 6; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანება, N1 დანართი. მუხლ. 14 პუნქტ. 3 და 4.

[17] საქართველოს პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 63 ნაწ. 14; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანება, N1 დანართი. მუხლ. 4 პუნქტ. 4.

[18] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანება, N1 დანართი. მუხლ. 2. პუნქტ. 5.

[19] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანება, N1 დანართი, მუხლ. 2 პუნქტ. 4.

[20] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანება, N1 დანართი. მუხლ. 5 პუნქტ. 1.

[21] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანება, N1 დანართი, მუხლ. მუხლ. 5 პუნქტ. 2.

[22] საქართველოს პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 63 ნაწ. 17; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანება, N1 დანართი, მუხლ. 4 პუნქტ. 3.

[23] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანება, N1 დანართი, მუხლ. 14 პუნქტ. 1.

[24] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანება, N1 დანართი, მუხლ. 15.

[25] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანება, N1 დანართი, მუხლ. 16, პუნქტ. 3.

[26] საქართველოს პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 63, ნაწ. 2, ქ/პ. „ა"; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანება, N1 დანართი, მუხლ. 3, პუნქტ. 2, ქ/პ. „ა".

[27] საქართველოს პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 63, ნაწ. 13; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანება, N1 დანართი, მუხლ. 6, პუნქტ. 1.

[28] „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შეიარაღებაში არსებულ სპეციალურ საშუალებათა სახეების, მათი შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესის და პირობების, აგრეთვე სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლების მქონე პირის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანება, N1 დანართი, მუხლ. 6, პუნქტ. 2, ქ/პ „ა" და „ბ".

[29] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანება, N1 დანართი, მუხლ. 4, პუნქტ. 1.

[30] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანება, N1 დანართი, მუხლ. 4, პუნქტ. 2.

[31] „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შეიარაღებაში არსებულ სპეციალურ საშუალებათა სახეების, მათი შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესის და პირობების, აგრეთვე სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლების მქონე პირის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანება, N1 დანართი, მუხლ. 1, პუნქტ. 2.

[32] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანება, N1 დანართი, მუხლ. 13, პუნქტ. 1.

[33] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანება, N1 დანართი, მუხლ. 13, პუნქტ. 3.

[34] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანება, N1 დანართი, მუხლ. 16, პუნქტ. 2.

[35] საქართველოს პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 63, ნაწ. 8.

[36] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანება, N1 დანართი, მუხლ. 17, პუნქტ. 1.

[37] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანება, N1 დანართი, მუხლ. 17, პუნქტ. 2.

[38] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანება, N1 დანართი, მუხლ. 21.

[39]„ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანისას ბადრაგირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N149 ბრძანება, N1 დანართი, მუხლ. 2, პუნქტ. 1.

[40] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N149 ბრძანება, N1 დანართი, მუხლ. 2, პუნქტ. 2.

[41] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N149 ბრძანება, N1 დანართი, მუხლ. 4.

[42] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N149 ბრძანება, N1 დანართი, მუხლ. 8, პუნქტ. 5.

[43] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N149 ბრძანება, N1 დანართი, მუხლ. 3.

[44] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N149 ბრძანება, N1 დანართი, მუხლ. 19, პუნქტ. 2-3.

[45] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N149 ბრძანება, N1 დანართი, მუხლ. 45^1.

[46] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N149 ბრძანება, N1 დანართი, მუხლ. 38, პუნქტ. 1-2.

[47] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N149 ბრძანება, N1 დანართი, მუხლ. 39.

[48] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N149 ბრძანება, N1 დანართი, მუხლ. 41.

[49] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N149 ბრძანება, N1 დანართი, მუხლ. 74, ქ/პ. „ა“, „ბ“, „გ“, „ზ“.

[50] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N149 ბრძანება, N1 დანართი, მუხლ. 47.

[51] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N149 ბრძანება, N1 დანართი, მუხლ. 7.

[52] „სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 სექტემბრის N636 ბრძანება, მუხლ. 5, პუნქტ. 1, ქ/პ. „ა“ და პუნქტ. 2, ქ/პ. „ა“.

[53] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 სექტემბრის N636 ბრძანება, მუხლ. 7, პუნქტ. 1, ქ/პ. „ი“.

[54] Raninen v. Finland განაცხადი N20972/92 16.12.1997 წ. §§63-64.

[55] Shlykov and Others v. Russia, განაცხადი N78638/11, 6086/14, 11402/17, 82420/17 19.01.2021 წ. §72.

[56] Pranjić-M-Lukić v. Bosnia and Herzegovina განაცხადი N4938/16 02.06.2020 წ. §72.

[57] Svinarenko and Slyadnev v. Russia [GC] განაცხადი N 32541/08 და 43441/08 17.06.2014 წ. §117.

[58] Shlykov and Others v. Russia, განაცხადი N78638/11, 6086/14, 11402/17, 82420/17 19.01.2021 წ. §73.

[59] Kaverzin v. Ukraine განაცხადი N23893/03 15.05.2012 წ. §156.

[60] Julin v. Estonia განაცხადი N16563/08, 40841/08, 8192/10, 18656/10, 29.05.2012 წ. §130.

[61] Goriunov v. the Republic of Moldova განაცხადი N 14466/12 29.05.2018 წ. §33.

[62] Raninen v. Finland განაცხადი N20972/92 16.12.1997 წ. §§57-58.

[63] Kaverzin v. Ukraine განაცხადი N23893/03 15.05.2012 წ. §§159-160.

[64] Kashavelov v. Bulgaria განაცხადი N891/05 20.01.2011 წ. §39/.

[65] Shlykov and Others v. Russia, განაცხადი N78638/11, 6086/14, 11402/17, 82420/17 19.01.2021 წ. §76.

[66] Shlykov and Others v. Russia 78638/11, 6086/14, 11402/17 and 82420/17, 19.01.2021 წ. §§ 77-93.

[67] Okhrimenko v. Ukraine განაცხადი N53896/07 15.10.2009 წ. §98; Korneykova and Korneykov v. Ukraine განაცხადი N56660/12 24.03.2016 წ. §111.

[68] Kucheruk v. Ukraine განაცხადი N2570/04 06.09.2007 წ. §§140-146.

[69] Henaf v. France განაცხადი N65436/01 27.11.2003 წ. §§52-60; Istratii and others v. Moldova განაცხადი N8721/05, 8705/05, 8742/05 27.03. 2007 წ. §§55-58; Okhrimenko v. Ukraine განაცხადი N 53896/07 15.10.2009 წ. §98.

[70] Korneykova and Korneykov v. Ukraine განაცხადი N 56660/12 24.03.2016 წ. §§112-115.

[71] Jatsõšõn v. Estonia განაცხადი N27603/15 30.10.2018 წ. §42.

[72] Yakovenko v. Ukraine განაცხადი N15825/06 25.10.2007 წ. §§107-109; Vlasov v. Russia განაცხადი N78146/01 12.06.2008 წ. §§92-99; Radzhab Magomedov v. Russia განაცხადი N 20933/08 20.12.2016 წ. §61.

[73] Idalov v. Russia [GC] განაცხადი N5826/03 22.05.2012 წ. §103.

[74] Vlasov v. Russia განაცხადი N78146/01 12.06.2008 წ. §93; Retunscaia v. Romania განაცხადი N25251/04 08.01.2013 წ. §78.

[75] Yakovenko v. Ukraine განაცხადი N15825/06 25.10.2007 წ. §109.

[76] Khudoyorov v. Russia განაცხადი N6847/02 08.11.2005 წ. §119; Seleznev v. Russia განაცხადი N15591/03 26.06.2008 წ. §59; Jatsõšõn v. Estonia განაცხადი N27603/15 30.10.2018 წ. §41 და 45.

[77] Tomov and others v. Russia განაცხადი N18255/10, 63058/10, 10270/11, 73227/11, 56201/13, 41234/16 09.04.2019 წ. §§125-128.

[78] Voicu v. Romania განაცხადი N22015/10 10.06.2014 წ. §63.

[79] Engel v. Hungary განაცხადი N46857/06 20.05.2010 წ. §25 და 28.

[80] Mouisel v. France განაცხადი N67263/01 14.11.2002 წ. §47.

[81] Öcalan v. Turkey [GC], განაცხადი N46221/99 2005 წ. §184.

[82] გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია N70/175, მიღებული 2015 წლის 17 დეკემბერს. წესი 73, 47-49. იხ. <https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/GA-RESOLUTION/E_ebook.pdf> [ბოლოს ნანახია: 28.11.2024 წელს.]

[83] ევროპის საბჭო მინისტრთა კომიტეტი მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 952-ე შეხვედრაზე, ცვლილებები და შესწორებები შეტანილია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2020 წლის 1 ივლისს მინისტრთა მოადგილეების 1380-ე კრებაზე) პუნქტ. 32 და 68. <https://rm.coe.int/09000016809ee581> [ბოლოს ნანახია: 28.11.2024 წ.]

[84] ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, რეზოლუცია N2266(2019) 01.03.2019 წ. პუნქტ. 4. <https://pace.coe.int/en/files/26465#trace-3> <https://pace.coe.int/pdf/b813ca4f1c6ebe5122829421fcb76ab2cddd0ebfaf396458b80366517e3ee6cc?title=Res.%202266.pdf

> [ბოლოს ნანახია: 18.12..2024 წ.]

[85] Transport of detainees European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) Factsheet, 2018 პუნქტ. 1,2, 4. იხ. <https://rm.coe.int/16808b631d> [ბოლოს ნანახია 28.11.2024 წ.]

[86] იქვე, პუნქტ. 3.

[87] Report to the Government of Ireland on the visit to Ireland carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) from 2 to 13 October 2006, პარ.101 <https://hudoc.cpt.coe.int/eng#{%22sort%22:[%22cptdocumentdate%20descending,cptdocumentid%20ascending,cptsectionnumber%20ascending%22],%22cptsectionid%22:[%22p-irl-20061002-en-26%22]}. [ბოლოს ნანახია: 28.11.2024 წ.] Report to the United Kingdom Government on the visit to the United Kingdom carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) from 20 to 25 November 2005 პარ. 23 <https://hudoc.cpt.coe.int/eng#{%22sort%22:[%22cptdocumentdate%20descending,cptdocumentid%20ascending,cptsectionnumber%20ascending%22],%22cptsectionid%22:[%22p-gbr-20051120-en-7%22]}> [ბოლოს ნანახია: 28.11.2024 წ.]

[88] გაეროს გენერალური ასამბლეა, 14.12.1990 წ. რეზოლუცია N45/113, დანართი. წესი 63-64. <https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/united-nations-rules-protection-juveniles-deprived-their-liberty> [ბოლოს ნანახია: 28.11.2024 წ.].

[89] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2008)11 European Rules for juvenile offenders subject to sanctions or measures პუნქტ. 91.1, 91.2, 91.3 <https://rm.coe.int/09000016805d2716> [ბოლოს ნანახია: 28.11.2024 წ.].

[90] საქართველოს პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 63 ნაწ. 8; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანება, N1 დანართი, მუხლ. 17, პუნქტ. 1.

[91] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანება, N1 დანართი. მუხლ. 17 პუნქტ. 2

[92] „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანისას ბადრაგირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N149 ბრძანება, N1 დანართი.

[93] საქართველოს პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 63, ნაწ. 8 და 18.

[94] საქართველოს პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 148, ნაწ. 2.

[95] საქართველოს პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 146.

[96] საქართველოს პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 147, ნაწ. 2.